

კვლევის ეთიკის საბჭოს (კეს) სააპლიკაციო ფორმა

კვლევის პროტოკოლის განხილვისთვის, რომელშიც კვლევის სუბიექტს წარმოადგენს ადამიანი

მოთხოვნილი განხილვის ტიპი

სრული განხილვა

დაჩქარებული განხილვა

განხილვისგან გათავისუფლება (ვისაც უკვე გავლილი აქვს კეს და აგრძელებს კვლევას)

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია

გვარი, სახელი	
თანამდებობა	
ორგანიზაცია, ფაკულტეტი, დეპარტამენტი	
ელ.ფოსტა	
ტელეფონი	

ვადასტურებ, რომ ამ აპლიკაციით გაკეთებული განცხადება არის სრულყოფილი. მე წარვმართავ ამ კვლევას რომელიც ითვალისწინებს ადამიანების, როგორც კვლევის სუბიექტების კვლევაში ჩართულობას კეს-ის შეფასების შესაბამისად. პროექტზე მუშაობას არ დავიწყებ, ვიდრე არ მივიღებ შეტყობინებას კომისიისგან - დადასტურების ან კვლევის ეთიკის საბჭოსგან გათავისუფლების შესახებ. ვაცნობიერებ, რომ ვარ პასუხისმგებელი შევატყობინო კვლევის მიმდინარეობისას ყველა მნიშვნელოვანი პრობლემური ან კონფლიქტური საკითხი კომისიას. ასევე, ვაცნობიერებ, რომ საჭიროა მივიღო კომისიის გადაწყვეტილება, ვიდრე განვახორციელებ რაიმე ცვლილებას პროექტში, ან მოვითხოვო კომისიის მიერ განხილვის გახანგრძლივება და საბოლოო დადასტურება.

პროექტის შესახებ ინფორმაცია

1. პროექტის სახელწოდება		
2. ფინანსდება თუ არა სამეცნიერო კვლევა ?	კი <input type="checkbox"/>	არა <input type="checkbox"/>
	<i>(თუ კი, მიუთითეთ დონორი ორგანიზაცია)</i>	
3. კვლევის დაწყების თარიღი		
4. კვლევის დასრულების თარიღი		
5. პროექტში მონაწილე პირების ჩამონათვალი სტატუსის მითითებით და საკონტაქტო ინფორმაცია (ელ-ფოსტა, მობილური ტელეფონი)		
<input type="checkbox"/> ვადასტურებ, რომ საგრანტო აპლიკაცია არ მოიცავს ადამიანთა სხვა ჯგუფს, გარდა იმისა, რაც მითითებულია ამ აპლიკაციაში. <input type="checkbox"/> ვადასტურებ, რომ კვლევის პროდუქტთან დაკავშირებით არ არსებობს ფინანსური ინტერესების კონფლიქტი		

პროექტის რეზიუმე და კვლევის პროტოკოლი

1. კვლევის ზოგადი აღწერილობა
2. კვლევის მიზნები და ამოცანები
3. კვლევის მეთოდოლოგია

<p>4. კვლევის მონაწილეების აღწერილობა (კვლევის მონაწილეების ზოგადი აღწერილობა, ჩართვისა და გამორიცხვის კრიტერიუმები. ასევე, მიუთითეთ ქართულ ენაზე მეტყველია თუ არა საკვლევი პოპულაცია)</p>	
<p>კვლევის მონაწილეთა საერთო რაოდენობა:</p>	
<p>ტარდება თუ არა კვლევა ბავშვებზე, ორსულებზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, მსჯავრდებულებზე, ეკონომიურად ან სოციალურად შეზღუდულ პირებზე?</p>	<p>კი <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/></p> <p>(თუ კი მიუთითეთ ჯგუფი)</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ბავშვები და მოზარდები 7-დან 17 წლამდე <input type="checkbox"/> 7 წლამდე ასაკის ბავშვები და ჩვილები <input type="checkbox"/> სსმ და შშმ პირები <input type="checkbox"/> მსჯავრდებულები <input type="checkbox"/> ხანდაზმულები <input type="checkbox"/> არაქართულენოვანი ჯგუფები (ადამიანები რომლებიც არ ლაპარაკობენ სახელმწიფო ენაზე) <input type="checkbox"/> სტუდენტები <input type="checkbox"/> სტუდენტები, ვისაც თქვენ ასწავლით <input type="checkbox"/> სუბიექტები, რომლებსაც აქვთ სპეციფიკური მოწყვლადობა და შესაძლოა მათთვის პოტენციურად სარისკო იყოს კვლევით გათვალისწინებული პროცედურები. <p><i>*საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ ჯგუფი</i></p>
<p>5. აღწერეთ, როგორ დაუკავშირდებით, შეარჩევთ და ჩართავთ კვლევაში მონაწილეებს</p>	
<p>6. მიიღებენ თუ არა თქვენს კვლევაში მონაწილეობას პირები, რომლებიც თქვენს სამსახურში არიან დასაქმებულნი?</p>	
<p>7. მოიცავს თუ არა თქვენი კვლევის პროტოკოლი ინფორმირებული თანხმობის ფორმას (წერილობით)?</p>	
<p><input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა</p>	

<p>(დადებითი პასუხის შემთხვევაში, განაცხადს თან დაურთეთ ინფორმირებული თანხმობის ფორმა. გაითვალისწინეთ, რომ ინფორმირებული თანხმობის ფორმა აუცილებელია. თუ თქვენი კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ არასრულწლონები 18 წლამდე, ამ შემთხვევაში, თქვენ გჭირდებათ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის წერილი. ასევე, ის ინსტრუქცია, რომელიც გამოიყენეთ წერილობითი თანხმობის მოსაპოვებლად. მნიშვნელოვანია, რომ თანდართული დოკუმენტი მოიცავდეს ამ ინსტრუქციის ყველა რელევანტური დეტალის შესახებ ინფორმაციას)</p>
<p>8. მოიცავს თუ არა თქვენი კვლევის პროტოკოლი ზეპირი თანხმობის ფორმას?</p>
<p><input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა</p> <p>(დადებითი პასუხის შემთხვევაში, დანართის სახით, წარმოადგინეთ ტექსტური სახით კვლევის მონაწილესთან კომუნიკაციის ფორმა, ან ზეპირი თანხმობის აღწერა. ზეპირი თანხმობა შეიძლება გამოვიყენოთ პიროვნებასთან, რომელიც არ არის კომპეტენტური საიმისოდ, რომ მოგვცეს კვლევაში მონაწილეობის შესახებ სამართლებრივად ვალიდური ინფორმირებული თანხმობა (მაგალითად, ბავშვი ან კოგნიტური დეფიციტის მქონე პიროვნება).</p>
<p>9. მიუთითეთ კვლევის ცალკეულ სესიაში მონაწილეობის ხანგრძლივობა (დროის ერთეული)</p>
<p> </p>
<p>10. მიუთითეთ კვლევაში მონაწილეობის სრული ხანგრძლივობა (დროის ერთეული)</p>
<p> </p>
<p>11. მოსალოდნელი რისკი კვლევის მონაწილისათვის</p>
<p> </p>
<p>12. მოსალოდნელი სარგებელი კვლევის მონაწილისათვის და საზოგადოებისთვის</p>
<p> </p>
<p> </p>
<p>13. ეკონომიური დაინტერესება:</p>

<p>მიუთითეთ კვლევაში ჩართულ პირს მიეწოდება თუ არა რაიმე ტიპის მატერიალური დახმარება, როგორცაა ფულადი ანაზღაურება, უფასო გამოკვლევები, ჰოსპიტალიზაცია და მკურნალობა, საკვები პროდუქტები და სხვ.</p> <p><i>(გახსოვდეთ, რომ აუცილებელია ინფორმირებული თანხმობის ფორმაში მიუთითოთ ინფორმაცია ნებისმიერი მატერიალური დახმარების ან გადასახადების შესახებ.)</i></p>
<p>14. აღწერეთ საკვლევ პირთა ნებაყოფლობითი თანხმობის ფორმის შეგროვების პროცედურა:</p>
<p>15. აღწერეთ ვებ-გვერდებისა და ინტერნეტის გამოყენება.</p> <ul style="list-style-type: none"> • დააკონკრეტეთ ვებ-გვერდები, თუ აპირებთ თქვენი კვლევის შესახებ ინფორმაციის განთავსებას (მაგალითად, ოსუ ფაკულტეტის ვებ- გვერდი, ადგილობრივი სკოლის ვებ-გვერდი, საავადმყოფო და ა.შ.) • მიუთითეთ თუ გამოკითხვას აწარმოებთ ელექტრონულად გუგლ დოკ-ის ფორმების გამოყენებით
<p>16. დეტალურად აღწერეთ კვლევის პროცედურა</p> <ul style="list-style-type: none"> • მოიცავს თუ არა პროცედურებს, რომლებიც შეიძლება ემოციური თვალსაზრისით, დამაზიანებელი იყო კვლევის მონაწილეებისათვის, იწვევდეს შფოთვას ან სტრესს? • მიუთითეთ კვლევის პროცესში გამოყენებული კვლევის მასალა (ფოკუს ჯგუფის, სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი, კითხვრი, ტესტი და ა.შ) • მიუთითეთ, გულისხმობს თუ არა თქვენი კვლევა კვლევის მონაწილეთათვის ტყუილის თქმას? (დადებითი პასუხის შემთხვევაში აღწერეთ ტყუილი, დაასაბუთეთ მისი გამოყენების აუცილებლობა და აღწერეთ პროცედურა, რომელსაც გამოიყენებთ მონაწილეებთან კომუნიკაციისას. წარმოადგინეთ ასლი დებრიფინგის წინადადებისა დანართის სახით. დანართი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თქვენ მიერ გამოხატული მზაობის შესახებ, რომ მონაწილეებს აძლევთ საშუალებას უარი თქვან კვლევაში მონაწილეობაზე). • მიუთითეთ, გულისხმობს თუ არა თქვენი კვლევა პერსონალური მონაცემების,

დოკუმენტების, ჩანაწერების, პათოლოგიისა და დიაგნოზის შესახებ ინფორმაციის დამუშავებას?

17. აღწერეთ მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებული პროცედურა.

- მიუთითეთ, ითხოვთ თუ არა კვლევის მონაწილეებისგან ინფორმაციას მათი ინტიმურ ქცევის, ეკონომიკური სტატუსის, სექსუალურ უპირატესობათა, რეგილიური რწმენებისა და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ, რომელთა გამოქვეყნებაც, შესაძლოა დააზიანებს მათ თვითშეფასებას ან რეპუტაციას, ან მიზანმიმართულად ჩააყენებს მონაწილეს კრიმინალური ან სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების რისკის ქვეშ, ან დააზიანებს მის ფინანსურ მდგომარეობას და დასაქმების სტატუსს? (დადებითი პასუხის შემთხვევაში დეტალურად აღწერეთ რისკები).
- მიუთითეთ დემოგრაფიული ტიპის ინფორმაცია, რომელსაც ითხოვთ მონაწილისაგან (მონიშნეთ ყველა რელევანტური პასუხი)
 - სახელი, გვარი
 - მისამართი
 - ტელეფონის ნომერი
 - ასაკი
 - სქესი
 - ეთნიკური წარმოშობა
 - ქორწინების სტატუსი
 - შემოსავალი
 - პირადი ნომერი
 - სამუშაოს დასახელება
 - დამსაქმებელი კომპანიის/ოგანიზაციის სახელი
 - დასაქმების ტიპი
 - სხვა უნიკალური ინფორმაცია, (პიროვნების იდენტიფიკაციის შესაძლებლობის მომცემი ინფორმაცია)
- მიუთითეთ იყენებთ თუ არა მონაცემთა კოდირების პრინციპებს, რისი საშუალებითაც მონაწილეს დაუკავშირებთ მის მიერ მოწოდებულ პასუხს/ინფორმაციას? (დადებითი პასუხის შემთხვევაში, აღწერეთ კოდირების პრინციპი).
- მიუთითეთ, ითხოვთ თუ არა კვლევის მონაწილეებისგან ინფორმაციას მათი ინტიმურ ქცევის, ეკონომიკური სტატუსის, სექსუალურ უპირატესობათა, რეგილიური რწმენებისა და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ, რომელთა გამოქვეყნებაც, შესაძლოა დააზიანებს მათ თვითშეფასებას ან რეპუტაციას, ან მიზანმიმართულად ჩააყენებს მონაწილეს კრიმინალური ან სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების რისკის ქვეშ, ან დააზიანებს მის ფინანსურ მდგომარეობას და დასაქმების სტატუსს? (დადებითი პასუხის შემთხვევაში დეტალურად აღწერეთ რისკები).

<p>18. აღწერეთ მონაცემთა შენახვა/განთავსების სტრატეგია</p> <ul style="list-style-type: none"> • აღწერეთ, როგორ აპირებთ თქვენი მონაცემების უსაფრთხოდ შენახვას და კონფიდენციალობის შენარჩუნებას კვლევის პროცესში • აღწერეთ, საბოლოოდ, როგორი ფორმით იქნება წარმოდგენილი თქვენი მონაცემები (ჩანაწერი, ელექტრონული ბაზები, სუბიექტების სია, სურათი, კომპიუტერის დისკი და სხვ.) მას შემდეგ, რაც დაასრულებთ კვლევას (განადგურება, დაწვა და ა.შ.). (გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ჩანაწერები უნდა იქნას შენახული კვლევის დასრულებიდან მინიმუმ 3 წლის განმავლობაში, მათ შორის, თანხმობის ფორმებიც). თუ არ აპირებთ მონაცემთა განადგურებას, გთხოვთ, დაასაბუთოთ ამის მიზეზი და ასევე, აღწეროთ, თუ როგორ გეგმავთ მონაცემების უსაფრთხოდ შენახვას.

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი (სახელი, გვარი)	ხელმოწერა	თარიღი

სტუდენტის კვლევის სუბიექტად გამოყენების შესახებ

მოცემულ დანართში განხილული პროცედურები შემუშავებულია იმისათვის, რომ მინიმუმამდე შემცირდეს ფაკულტეტის თანამშრომელთა მხრიდან ნებისმიერი ტიპის ზეგავლენა სტუდენტზე კვლევაში მათი მონაწილეობის შედეგად.

ეს პროცედურები არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც სტუდენტები სწავლობენ კვლევის მეთოდებს შესაბამისი კურსის ფარგლებში და მათ უწევთ კვლევაში მონაწილეობა.

პროფესიულ წრეებში არსებული ეთიკური პრინციპები ავალდებულებს ყველა მკვლევარს, კვლევაში მონაწილეობის შესახებ კვლევის სუბიექტებისგან თანხმობა მიიღოს ნებაყოფლობით; ამავე დროს, კვლევის ყველა მონაწილეს უნდა მოვეპყროთ, როგორც ავტონომიურ აქტორს, რომელსაც აქვს უფლება აირჩიოს, მიიღებს თუ არა მონაწილეობას კვლევაში.

შესაბამისად, ფაკულტეტის ყველა წევრი და სტუდენტი, რომელიც კვლევაში მონაწილეობისთვის იყენებს სტუდენტებს, ვალდებულია გააცნოს მას კვლევის პროცედურა და მიიღოს ინფორმირებული თანხმობა.

დანართი 2.

ჩამონათვალი მკვლევრისათვის.

მოთხოვნილი განხილვის ტიპი:

- სრული პანელი;
- დაჩქარებული;
- საბჭოსგან გათავისუფლება-(თუკი ერთელ გავლილი აქვს შეფასება და ითხოვს გაგარძელებას)
- დასაბუთება დაჩქარებული განხილვის შემთხვევაში
- აპლიკაცია
- შეჯამება არატექნიკური/არაპროფესიული ტერმინოლოგიით (მაქსიმუმ ორი წინადადება)
- რისკები იდენტიფიცირებულია
- მოსალოდნელი სარგებელი განსაზღვრულია
- ინფორმირებული თანხმობის ფორმა წარმოდგენილია
- ყველა ინსტრუმენტი წარმოდგენილია (მაგ., კითხვარები, სტანდარტიზებული ტესტები, გზამკვლევები, ინტერვიუს გეგმა)
- შერჩევის კრიტერიუმი განსაზღვრულია
- უმცირესობების ჩართვასთან დაკავშირებული საკითხი ტექსტში წარმოდგენილია
- მონაცემთა შენახვა/განთავსების პირობები დეტალურად აღწერილია
- მთავარი მკვლევრის ხელმოწერა აპლიკაციაზე წარმოდგენილია
- ყველა მკვლევრის სახელი და გვარი წარმოდგენილია
- კვლევის ვადები განსაზღვრულია (დასაწყისი, დასასრული)
- დაფინანსების წყაროები განსაზღვრულია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- თანხმობის წერილების ყველა რელევანტური წყაროდან (მაგ., სკოლის დირექტორი, კომპანიის ან ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ა.შ) წარმოდგენილია
- თუ აპლიკანტი სტუდენტია, საჭიროა ხელმძღვანელის ხელმოწერა

მონაწილეები იდენტიფიცირებული არიან, როგორც:

- ანონიმური
- კონფიდენციალური
- არცერთი

ინფორმირებული თანხმობის ფორმა (კვლევის მონაწილეებისათვის უნდა იყოს შედგენილი სპეციფიკური ტერმინების გარეშე)

___კვლევის აღწერა და მიზნები

___ნათელი აღწერილობა იმასთან დაკავშირებით, თუ რას ითვალისწინებს კვლევის პროცედურა

___დაწვრილებით აღწერა იმისა. თუ რა მოეთხოვებათ მონაწილეებს
___მონაწილეობასთან დაკავშირებული რისკები განსაზღვრულია (გვერდითი ეფექტები)

___მონაწილეობასთან დაკავშირებული სარგებელი განსაზღვრულია

___კვლევაში მონაწილეობის ხანგრძლივობა (წუთები, დღეები, თვეები და ა.შ) მითითებულია

___თუ კვლევაში მონაწილეობა ნეგატიურად აისახება მონაწილეებზე, კვლევის შემდგომ კონსულტირების საკითხი განსაზღვრულია

___კვლევაში მონაწილეობისათვის თანხის გადახდის საკითხი განსაზღვრულია

___მითითებულია მონაწილის თავისუფლება, გამოეთიშოს კვლევას ნებისმიერ დროს, ყოველგვარი სანქციის გარეშე

___კვლევიდან გამოთიშვის შემთხვევაში განსაზღვრულია ნაწილობრივი კომპენსაციის საკითხი

___საკონტაქტო პირის სახელი და გვარი, ტელეფონის ნომრები, მისამართები

___ხელმოწერის გრაფა მონაწილისათვის, მკვლევრისათვის; მოწმისათვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში

___ვიდეო, აუდიო ან/და ფოტო მასალებზე თანხმობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში

___ უცხო ენაზე თარგმნა (საჭიროების შემთხვევაში)

___განსაზღვრა იმისა, თუ რამდენად ხელმისაწვდომი იქნება კვლევის მონაწილისათვის კვლევის შედეგები

___შედეგების ანგარიშში, მკვლევრის მიერ ექსპლიციტური დასტური მონაწილის კონფიდენციალობის/ანონიმურობის შესახებ

მკვლევრის კომენტარები:

*ნებაყოფლობითი

კეს-ს პროტოკოლის ფორმა - ინსტრუქციები

კვლევის განსაზღვრება: სისტემატური კვლევა (მონაცემების შეგროვება და ანალიზი), რომელიც ემსახურება განზოგადებული ცოდნის შექმნას.

კვლევის მონაწილის განსაზღვრება: ინდივიდი, რომლის მონაწილეობით კვლევა გულისხმობს: 1) მონაცემების შეგროვებას მასთან უშუალო ურთიერთობის მეშვეობით ან (2) იდენტიფიცირებადი პირადი ინფორმაციის კვლევაში გამოყენებას.

კეს-ს პროტოკოლის ფორმასთან ერთად, საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:

1. მიზნული კეს-ს პროტოკოლის ფორმა;
2. დანართი 1;
3. დანართი 2;
4. საპროექტო/კვლევითი წინადადების სრული ასლი, გეგმა და კვლევის ჩატარების პროტოკოლი, რომელშიც განსაზღვრულია კვლევის მიზნები და აღწერს ამ მიზნების მისაღწევ პროცედურებს;
5. ინფორმაცია დამატებითი პერსონალის შესახებ, თუ ხუთზე მეტი ინდივიდია კვლევაში ჩართული;
6. ყველა განაცხადი თუ სხვა მასალა
7. ინფორმირებული თანხმობის ფორმა: *ინფორმირებული თანხმობის ფორმა იმ ინდივიდებისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ თავად გასცენ სამართლებრივად ვალიდური ინფორმირებული თანხმობის ფორმა კვლევაში მონაწილეობის შესახებ (მაგ., ბავშვი ან ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე პირი, რთულ მენტალურ მდგომარეობაში მყოფი პირი). ამ შემთხვევებში, ინფორმირებული თანხმობის ფორმაზე ხელი უნდა მოაწეროს მშობელმა/მეურვემ ან კვლევის მონაწილის სამართლებრივმა წარმომადგენელმა.*

კეს-ს განხილვის ბაზისური კრიტერიუმები:

კვლევის დასამტკიცებლად, უნდა შეფასდეს შესაბამისობა შემდეგ კრიტერიუმებთან:

1. კვლევის სუბიექტებისათვის ზიანის მიყენების ალბათობა მინიმალურია;

2. კვლევის სუბიექტებისათვის მისაყენებელი რისკები მიზანშეწონილია წინასწარ განსაზღვრული კვლევის შედეგებისა და მიღებული ცოდნის გათვალისწინებით;
3. კვლევაში გათვალისწინებულია მოწყვლადი ჯგუფების კვლევაში ჩართვასთან დაკავშირებული სპეციფიკური პრობლემები;
4. ინფორმირებული თანხმობის მიღება შესაძლებელია კვლევის მონაწილის, ან მისი ლეგალური წარმომადგენლისაგან;
5. ინფორმირებული თანხმობა შესაბამისი გზით იქნება დოკუმენტირებული;
6. კვლევის გეგმაში ადეკვატურადაა გაწერილი მონაცემების შეგროვებაზე მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას კვლევის სუბიექტების უსაფრთხოება.
7. ადეკვატური ზედამხედველობის ზომებია მიღებული კვლევის მონაცემების კონფიდენციალობის, ან სუბიექტების ანონიმურობის უზრუნველსაყოფად.
8. კვლევის გეგმაში გათვალისწინებულია დამატებითი უსაფრთხოების ღონისძიებები, როდესაც ზოგიერი მოწყვლადი ჯგუფი ერთვება კვლევაში (ბავშვები, პატიმრები, ორსული ქალები, ეკონომოკიურად ან განათლების სტატუსით არაპრივილეგირებული ჯგუფები, ინტელექტუალური განვითარების შეფერხების ან რთული მენტალური ჯანმრთელობის მდგომარეობაში მყოფი პირები).
9. თუ კვლევის სუბიექტები საჭიროებენ ფსიქიკური ჯანმრთელობის გამო კონსულტირებას კვლევის პროცედურებში მონაწილეობის შედეგად (მაგ., ინტერვიუ, რომელიც ემოციურ და დისტრესულ რეაქციებს აღძრავს სუბიექტში), განსაზღვრული უნდა იყოს ვის მიერ იქნება უზრუნველყოფილი კონსულტირება და ვინ გაიღებს ამისათვის საჭირო ფინანსებს.

ინფორმირებული თანხმობის ფორმა - ძირითადი ელემენტები:

ინფორმირებული თანხმობის ფორმა უნდა შეიცავდეს:

1. კვლევის მიზნების და პროცედურის აღწერას არაპროფესიული ტერმინოლოგიით;
2. კვლევის სუბიექტისათვის მოსალოდნელი რისკებისა და დისკომფორტის აღწერას;
3. კვლევის სუბიექტების ან სხვა ადამიანებისათვის მოსალოდნელი სარგებლის აღწერას;
4. ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ იქნება დაცული მონაცემების/ჩანაწერების კონფიდენციალობა. საპროექტო წინადადებაში განსაზღვრული უნდა იყოს, სუბიექტები არიან: ა) ანონიმურები¹; ბ) კონფიდენციალურები²; თუ გ) არცერთი.

¹ *ანონიმურობის განსაზღვრება:* მონაცემები აღინუსხება ისე, რომ შეუძლებელია კვლევის სუბიექტისა და მის პასუხს/მონაცემს შორის კავშირის დადგენა. მაგალითად: 1) სუბიექტი ავსებს და მკვლევარს უგზავნის კითხვარს, სადაც არაა აღნიშნული მისი სახელი და გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის

5. გაცხადება იმის შესახებ, თუ რა დროს მოითხოვს კვლევაში მონაწილეობის მიღება (მაგალითად, რეალური დრო წუთებში, თუ რამდენი ხანი დასჭირდება კითხვარის შევსებას).
6. განცხადება იმის შესახებ, რომ მონაწილეობა ნებაყოფლობითია და მონაწილეობაზე უარის თქმა არ იწვევს რაიმე სახის სანქციას, ასევე, ყოველგვარი სანქციის გარეშე შესაძლებელია კვლევიდან გამოთიშვა. იმ შედეგების განსაზღვრა, რაც კვლევაში მონაწილეობის შეწყვეტას მოჰყვება (მაგალითად, ვეღარ მიიღებს კვლევაში მონაწილეობის სანაცვლოდ კომპენსაციას). აგრეთვე, იმის ნათლად განსაზღვრა, თუ რა იგულისხმება ზუსტად კვლევაში მონაწილეობის შეწყვეტაში (მაგალითად, ინტერვიუს შესწყვეტა).
7. გაცხადება/წინადადება იმასთან დაკავშირებით, თუ მიიღებს კვლევის მონაწილე რაიმე სახის ფინანსურ კომპენსაციას და თუ მიიღებს ნაწილობრივ კომპენსაციას კვლევიდან გამოთიშვის შემთხვევაში. ასევე, ყველა იმ ხარჯის განსაზღვრა, რისი გაწევაც მოუწევს კვლევის სუბიექტს და არ იქნება ანაზღაურებული (მაგალითად, მგზავრობის ხარჯები, სამუშაოს გაცდენა და ა.შ).
8. ნათელყოფა იმისა, თუ, კითხვების შემთხვევაში, როგორ იქნება კვლევის სუბიექტისათვის მკვლევარი ხელმისაწვდომი (მაგალითად, ტელეფონით, ელექტორნული მისამართით, სამსახურის მისამართით).

ნომერი ან სხვა საიდენტიფიკაციო საშუალება; 2) მკვლევარი ურეკავს ტელეფონზე და ინიშნავს პასუხებს ისე, რომ არაა აღნუსხული მონაცემსა და ტელეფონის ნომერს შორის კავშირი.

² **კონფიდენციალობის განსაზღვრება:** ამ შემთხვევაში შესაძლებელია კვლევის სუბიექტის იდენტიფიცირება მისი პასუხების მიხედვით, ხოლო მკვლევარი ინფორმირებული თანხმობის ფორმაში აცნობს, რომ მისი ვინაობა არ იქნება გამჟღავნებული კვლევაში. მაგალითად, ხდება სუბიექტის ვინაობის კოდირება.